Diploma Programme
Programme du diplôme
Programa del Diploma

Georgian A: literature – Higher level – Paper 1
Géorgien A : littérature – Niveau supérieur – Épreuve 1
Georgiano A: literatura – Nivel superior – Prueba 1

Friday 8 May 2015 (afternoon)
Vendredi 8 mai 2015 (après-midi)
Viernes 8 de mayo de 2015 (tarde)

2 hours / 2 heures / 2 horas

Instructions to candidates

- Do not open this examination paper until instructed to do so.
- Write a literary commentary on one passage only.
- The maximum mark for this examination paper is **[20 marks]**.

Instructions destinées aux candidats

- N'ouvrez pas cette épreuve avant d'y être autorisé(e).
- Rédigez un commentaire littéraire sur un seul des passages.
- Le nombre maximum de points pour cette épreuve d'examen est de **[20 points]**.

Instrucciones para los alumnos

- No abra esta prueba hasta que se lo autoricen.
- Escriba un comentario literario sobre un solo pasaje.
- La puntuación máxima para esta prueba de examen es **[20 puntos]**.

2215 – 0541

© International Baccalaureate Organization 2015

International Baccalaureate
Baccalauréat International
Bachillerato Internacional

https://xtremepape.rs/

დაწერეთ **ერთ-ერთი** ტექსტის ლიტერატურული კომენტარი:

1.

ღამის სტრიქონები

რა ვქნა, ისევ სიცოცხლეზე ვდარდობ,
ირგვლივ ისევ მდუმარება დადგა.
მიხარია, რომ დამტოვეს მარტო,
ყველა ერთად რომ წავიდა სადღაც.

5 რა ვქნა, ისევ შურია და მტრობა,
ალბათ ქარი გადაუვლის მაღლობს.
ასე მარტო მიხარია ყოფნა,
როცა თავს ვგრძნობ მე სიკვდილთან ახლოს.

როგორც ქრისტე ვიხედები მაღლა.
10 ალბათ ჩემთვის ამზადებენ კუბოს;
მინდა ფრთები და მიწიდან გასვლა
და გაფრენის სურვილია უფრო.

უფსკრულია და უფსკრულში ვრჩები
და ახლოა ქარიშხალი ისევ;
15 სიჩუმეა და ვსაუბრობ ჩემთვის,
მე ვსაუბრობ და კედლები მისმენს.

ახლაც დაქრის, არ ეშველა ქარებს
და კიდია შორს მდუმარე ზარი.
მინდა ავდგე, გავიხედო გარეთ
20 და გავაღო დაკეტილი კარი.

ყრუ ღამეა, მეშინია ოდნავ,
ალბათ, მოვა ჯიბგირი, ან ქურდი.
ალბათ, ცაზე ღრუბელია ცოტა,
ალბათ, მოჩანს ვარსკვლავების გუნდი.

25 ისევ მოდის ჩემს გულიდან წყრომა,
ოდეს წვიმა დაეცემა მიწას.
და მე რა ვქნა, შეზღუდული რომ ვარ,
რა ვქნა, მეტი გასაქანი მინდა!

იმ ოთახში კვლავ საათი რეკავს
30 და ეს გული უცნაურად იწვის.
ახლა მინდა ვარსებობდე ყველგან,
მთელს მსოფლიოს რომ დავიპყრობ ვიცი!

https://xtremepape.rs/

ღამის ლანდი მე ფანჯრიდან ვნახე,
ღამის ცეცხლი ეკიდება თვალებს.
35 და, ძვირფასო, ჩემს ბრწინვალე სახელს,
ვგრძნობ მსოფლიო აღიარებს მალე.

რა ვქნა, ისევ სიცოცხლეზე ვდარდობ,
ირგვლივ ისევ მდუმარება დადგა.
მიხარია, რომ დამტოვეს მარტო,
40 ყველა ერთად რომ წავიდა სადღაც...

ტერენტი გრანელი, *ღამის სტრიქონები* (1928)

https://xtremepape.rs/

2.

დრო კვლავ მიდიოდა. დაკარგულ განძეულობის ხსოვნაც მინელდა. ლუკმა პურის შოვნა კი დღითი-დღე ძნელდებოდა. თეიმურაზმა რომ მარგოს სამკაული და თავიანთი ნიშნობის ბეჭდებიც კი გასცვალა დაშხამულ პურზე, ოჯახის ნგრევას მიჰყო ხელი და რიგრიგობით გაიტანა ბაზარზე ხალიჩები, როიალი, რბილი ავეჯი, თეთრეული, ფაიფური და ბროლის ჭურჭელი. ხოლო როცა თეიმურაზს ცხოვრებამ ბოლომდე მოუღუნა კისერი და ულმობლად დაჰკეცა იგი, მოდრეკილმა მწიგნობარმა თავის წიგნებსაც წაავლო ხელი, იმ წიგნებს, რომელნიც თეიმურაზისთვის ღვიძლ შვილებს ედარებოდნენ და უფრო საჭირონი და ძვირფასნი იყვნენ, ვიდრე ავეჯეულობა, მამა-პაპეული განძეულობა, მარგოს თვალ-მარგალიტი, ბროლი, ფაიფური და თეთრეული.

ოცი წელიწადი მოუნდა თეიმურაზი წიგნსაცავის შერჩევას და გამდიდრებას. კვირა იშვიათად გავიდოდა, რომ საფრანგეთიდან, გერმანიიდან და რუსეთიდან ფოსტას ერთი დასტა წიგნები არ მოეტანა. არც ქართული წიგნი, ჟურნალ-გაზეთი, ან ფურცელი დაიბეჭდებოდა, რომ ერთი ცალი თეიმურაზის კაბინეტში არ შესულიყო. რამდენიმე ბუკინისტი მუდმივ გამალებით დაეძებდა თეიმურაზისთვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას. დიდის სიყვარულით, ცოდნითა და მოწიწებით აგროვებდა თავადი-მწიგნობარი საიდუმლო ნაბეჭდებს და ნაშინდარში ჰგზავნიდა ცხრაკლიტულში დასაკეტად.

წიგნსა და თეიმურაზს ისე უყვარდათ ერთმანეთი, როგორც მამა-შვილს. ამიტომ, წიგნების გაყიდვის ჯერი რომ მოვიდა, თეიმურაზმა მხოლოდ მაშინ იგრძნო და გაიგო, რომ იგი კარგა ხანია შეუდგა თავის გოლგოთას, რომლის მწვერვალი, შავი ნისლით დაბურული, ჯერ არც კი მოსჩანდა.

გულაჩუყებული ბიბლიოფილი კვირაში ერთხელ წიგნებს აცახცახებული ხელით გადაარჩევდა, იღლიაში ამოიჩრიდა, სახლიდან ქურდივით გაიპარებოდა და საკომისიო მაღაზიას ჩალის ფასად მიუგდებდა, თან ჩუმ-ჩუმად ცრემლს იწმენდავდა და აფორიაქებულ სულს იმ იმედით იმშვიდებდა, ვითომ ხვალ ან ზეგ დრო გამოიცვლებოდა, ცხოვრების ბორბალს ვიღაც უჩინარი პირუკუღმა დაატრიალებდა, ან თეიმურაზს მამული დაუბრუნდებოდა, ან როგორმე ფულს მოიგდებდა და გაყიდულ ქონებას და წიგნებსაც ხელახლა დაიბრუნებდა...

მაგრამ ცხოვრებას გუმანშიც არ ჰქონდა პირუკუღმა მოტრიალება და ხევისთავის უზურის გამართლება.

ისევ დღე დღეს მისდევდა, კვირას – კვირა, წელიწადს – წელიწადი. თეიმურაზი კი მუდმივ სასწაულს ელოდებოდა და სასწაულის მოლოდინში, მამულის დაბრუნებისა და ხელახალ გამდიდრების იმედიანობაში ნელ-ნელა დაილივნენ და დაცალიერდნენ თეიმურაზის გულიც, იმედებიც, წიგნსაცავიც და ბინაც.

მიხეილ ჯავახიშვილი, *ჯაყოს ხიზნები* (1924)

https://xtremepape.rs/